4.3 არასადამსჯელო შეტყობინების პოლიტიკა

კომპანია Geo Sky ორიენტირებულია ფრენის ოპერირების უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების დანერგვაზე. ამ მიზნის მისაღწევად, აუცილებელ პირობას წარმოადგენს ყველა საავიაციო შემთხვევის, ინციდენტის, მოვლენის, საფრთხისა და რისკის შესახებ დაუბრკოლებელი შეტყობინება, რომელმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უსაფრთხოდ წარმართვას.

აღნიშნული მიზნით, თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია ნებისმიერი იმ ინფორმაციის მოწოდებაზე, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ფრენის უსაფრთხოების ხარისხზე.

შეტყობინების ავტორს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა საავიაციო შემთხვევისთვის, რომლის მონაწილეც თავად იყო, თუ აღნიშნული, შემთხვევის შესახებ ცნობილი გახდა მისივე შეტყობინებით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადგილი ჰქონდა განზრახ ან გაუფრთხილებლობით ან/და დაუდევრობით ჩადენილ დარღვევას.

იმ თანამშრომლების მიმართ, რომლებიც განახორციელებენ საავიაციო მოვლენის შესახებ შეტყობინებას, არ გატარდება სადამსჯელო ღონისძიებები ავიაკომპანიისთვის აღნიშნული შეტყობინების მიწოდების გამო.

კომპანია უზრუნველყოფს, რომ საავიაციო ინციდენტის შეტყობინების წარდგენისთვის თანამშრომლები არ დაექვემდებარებიან სანქციებს ან სხვა სახის სადამსჯელო ზომებს ავიაკომპანიის მხრიდან.

კომპანია არ გამოიყენებს პასუხისგების ზომებს წესების უნებლიე დარღვევის შემთხვევაში, რაც კომპანიისთვის ცნობილი გახდა საავიაციო მოვლენათა შეტყობინების სისტემის მეშვეობით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გამოწვეულია უხეში დაუდევრობით ან/და განზრახ დარღვევით.

აღნიშნული კომუნიკაცია სრულად თავისუფალი უნდა იყოს ნებისმიერი სადამსჯელო ქმედებებისგან. შეტყობინების მთავარი მიზანია რისკების კონტროლი, საავიაციო შემთხვევებისა და ინციდენტების პრევენცია და არა ბრალეულობის დაკისრება. პერსონალის არცერთი წევრის მიმართ, რომელიც მოვლენათა შეტყობინების სისტემის მეშვეობით უსაფრთხოების ხარვეზს გამოავლენს, არ გატარდება საპასუხო ზომები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული ინფორმაცია, ყოველგვარი გონივრული ეჭვის მიღმა, გამოავლენს უკანონო ქმედებას, უხეშ დაუდევრობას ან რეგულაციებისა და პროცედურების განზრახ უგულებელყოფას.

წინამდებარე პოლიტიკა არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ინფორმაცია მოპოვებულია სხვა წყაროების მეშვეობით და არა უშუალოდ თანამშრომლისგან, ასევე ფაქტების მიმართ , რომლებიც მოიცავს კანონსაწინააღმდეგო ქმედებას ან დადგენილი წესებისა და პროცედურების განზრახ დარღვევას.

უსაფრთხოების შეტყობინების პოლიტიკა განსაზღვრავს, რომ მოვლენათა შეტყობინებისა და შიდა მოკვლევის მიზანია უსაფრთხოების დონის ამაღლება და არა კონკრეტული ადამიანისთვის ბრალეულობის დაკისრება. ამ მიზნით უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისი პუნქტი შეიძლება წარმოდგენილი იყოს უფრო ვრცლად, დამოუკიდებელი დოკუმენტის - „მომხსენებელთა დაცვის“ - სახით.